ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

# თავისუფლება

საქართველოს დემოკრატიული პარტიის გაზეთი

25 ნოემბერი 1989წ №-19

## გალმა არ ვედავებით

გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია მცდარი მოსაზრება რადიკალური და შედარებით ლოიალური პოლიტიკური ორგანიზაციების შეთავსებულობის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ საჭიროა როგორც რადიკალური, ასევე შედარებით ლოიალური პოლიტიკური ოპოზიციის არსებობაც. რადიკალები კრემლს გალმა შეედავებიან, ლოიალური ორგანიზაციები კი გამოლმა გამოგლეჯ რალაჟასო. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება:

რადიკალური ოპოზიცია მოითხოვს, რომ საქართველოდან გაყვანილ იქნას საბჭოთა საოკუპაციო ჯარები და საქართველოს წვევამდელებმა არ იმსახურონ ოკუპანტის არმიაში. შედარებით ლოიალური ოპოზიცია, რომელსაც ჩვენ "თავისუფლების" წინა ნომერში მემარჯვენე პატრიოტები ვუწოდეთ, ისარგებლებს რადიკალური ოპოზიციის დაწოლით ხელისუფლებაზე და მიაღწევს იმას, რომ საქართველოს წვევამდელებმა აქვე მოიხადონ სავალდებულო სამხედრო სამსახური წითელ არმიაში;

რადიკალური ოპოზიცია მოითხოვს საქართველოს მოსახლეობისათვის სსრ კავშირის სავალდებულო მოქალაქეობის გაუქმებას. მემარჯვენეები კი მიაღწევენ იმას, რომ სსრ კავშირის მოქალაქეობის პარალელურად შემოღებული იქნას საქართველოს სსრ მოქალაქეობა;

რადიკალური ოპოზიცია მოითხოვს საბჭოთა არჩევნების ბოიკოტს და ეროვნული სათათბიროს არჩევას. მემარჯვენეები ისარგებლებენ რადიკალური ოპოზიციის დაწოლით ხელისუფლებაზე და ხელისუფლება იმდენად, რამდენადაც შეშინებული იქნება, რომ საქართველოში არჩევნების ბოიკოტით არ გაუქმდეს საბჭოთა ხელისუფლება, უფრო დემოკრატიულად ჩაატარებს არჩევნებს და ლოიალური ორგანიზაციების თავგამოდებით დეპუტატებად იქნებიან არჩეულნი უფრო კარგი ადამიანები.

თუ ამ აზრს დავუჯერებთ, გამოდის, რომ რადიკალური ოპოზიცია ასრულებს მხოლოდ ხელისუფლების შემშინებლის როლს, ნამდვილ პოლიტიკურ საქმეს კი ლოიალური ორგანიზაციები აკეთებენ. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად არის, რადიკალური ოპოზიცია, და კერძოდ საქართველოს დემოკრატიული პარტია, არასოდეს არ ედავება დამპყრობელს გალმა. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვთ მხოლოდ ჩვენი სისხლხორცეული უფლებების დაცვას და საქართველოს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არასოდეს არ დაგვიყენებია რამდენადმე გადამეტებული მოთხოვნები.

საქართველო ოკუპირებულია დამპყრობლის მიერ. ქვეყანა ფორმალურად ითვლება სუვერენულ რესპუბლიკად, მაგრამ მას არ გააჩნია სუვერენობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი-შეიარაღებული ძალები. ამის ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია ოკუპანტის ჯარები. პლუს ამას, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები იძულებით მიჰყავთ ოკუპანტის არმიაში ეგრეთწოდებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. აქედან გამომდინარე ოპოზიციური ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ საქართველოდან გაყვანილ იქნას საოკუპაციო ჯარები, შეწყდეს ჩვენი ჭაბუკების იძულებითი წაყვანა მტრის არმიაში და აღსდგეს საქართველოს ჭეშმარიტი სუვერენობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტი-საქართველოს ეროვნული არმია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოთხოვნები სავსებით ბუნებრივია ისტორიულად სუვერენული ქვეყნისათვის და მათი დაყენება პირდაპირ აშიშვლებს საერთაშორისო სამართლის წინაშე რუსეთის კომუნისტურ იმპერიას, როგორც ოკუპანტს. თუ ეს საკითხები კვლავაც უკომპრომისოდ იქნება დაყენებული საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ, კრემლი იძულებული იქნება დროთა განმავლობაში დააკმაყოფილოს ისინი.

ყოველივე ამის საპირისპიროდ საქართველოს მემარჯვენე პატრიოტები აყენებენ მოთხოვნას, რომ საქართველოს წვევამდელებმა უბრალოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მოიხადონ სავალდებულო სამხედრო სამსახური წითელ არმიაში. აქ კრემლს უკვე ეძლევა ლავირების საშუალება და მზად არის დაუთმოს მემარჯვენეებს. პრაქტიკულად კრემლისთვის დღეს მისაღებია ნაციონალური წითელი ჯარების აღდგენა, რასაც არაფერი საერთო არ აქვს საქართველოს სუვერენიტეტთან. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს არსებობდა იმპერიის მორჩილი ქართული ჯარი /ქართული მილიცია/, რომელიც თავგამოდებით ემსახურებოდა რუსეთის იმპერიას. თუ ადრე ასეთ არმიებს ცარიზმი იყენებდა შამილის დასამარცხებლად, ან ერევნის ასაღებად, ამჯერად გორბაჩოვი ლამობს საქართველოში დარჩენილი წვევამდელებისაგან შექმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მსგავსი "დათმობით" იქმნება საქართველოს სუვერენობის ილუზია, საქმე კი ოდნავადაც არ მიდის წინ.

იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა შემთხვევაშიც. აი, მოვითხოვეთ ჩვენ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლა, რადგან მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენი სამშობლოს დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქეობა. ამ დროს შედარებით ლოიალური ორგანიზაციები აყენებენ საქართველოს სსრ მოქალაქეობის შემოღებას, რაც სსრ კავშირის მოქალაქეობის პარალელურად უნდა განხორციელდეს მათი აზრით.

ჩვენში განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ლოიალური ორგანიზაციების დამოკიდებულება საბჭოური არჩევნების მიმართ. რადიკალური ოპოზიცია საქართველოს განთავისუფლების მთელ იმედებს სწორედ საბჭოური არჩევნების ბოიკოტზე აგებს. ამ დროს მემარჯვენე ორგანიზაციები /ჩვენი პარტიის პოზიციდან ათვლით/ სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

საქართველოში საბჭოური არჩევნები აბსოლუტურად არასამართლებრივია, რადგან ასეთი სისტემა მხოლოდ რუსის ხიშტის ძალით არის დანერგილი. ამგვარი საარჩევნო სისტემა და მისი კანონი არასოდეს არ ყოფილა დამტკიცებული ქართველი ხალხის მიერ, რომლის ნებაც საერთაშორისო სამართლით უზენაესია საქართველოში. მემარჯვენე ორგანიზაციებმა კი აიტაცეს. კვლავ კომპრომისი. აი, რას ეფუძნებიან ეს ორგანიზაციები და ამას საქართველოს სასიკეთო საქმედ მიიჩნევენ. სინამდვილეში კი რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის წინაშე პირდაპირ ამხელენ ოკუპანტს, ლოიალური ორგანიზაციები კი კრემლს საშუალებას აძლევენ შეინიღბოს, სოციალიზმის "გაკეთილშობილებული" ვარიანტი მოგვახვიოს თავს ერთგვარი " დათმობების" სახით და ამით კვლავაც დიდი ხნით გაიხანგრძლივოს საქართველოში თავისი ბატონობა, რომელსაც დიდი ხანია ყავლი გაუვიდა.

ხშირად გვეკითხებიან თუ როდის მოვიპოვებთ თავისუფლებას? ჩვენ თავისუფლებას მაშინ მოვიპოვებთ, როგორც კი მთელი ერის მიერ საერთაშორისო სამართლის დონეზე მთელი ხმით იქნება სარწმუნოდ განცხადებული, რომ საქართველოს ნამდვილად სურს თავისუფლება და კომპრომისებზე არ მიდის დამპყრობელთან, რომელიც უკვე 69 წელია ჩვენს სამშობლოს აჩანაგებს.

საბჭოთა კანონები, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტაბუდ არის ნაქცევი პოლიტიკურად განადგურებული მოსახლეობისათვის, წარმოუდგენელ კოლიზიაშია საერთაშორისო სამართალთან. ამიტომ ჩვენ დრო და დრო ყურადღებას ვამახვილებთ მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე და ვაყენებთ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ხელისუფლებამ ადრე თუ გვიან უნდა შეგვისრულოს, რადგან ჩვენი პოზიცია უტყუარია და ამ მოთხოვნებით აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლების თანმხლები ელემენტები აშკარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

არა მეგობრებო, საქართველოს დღეს არ სჭირდება ლოიალური ორგანიზაციები. ისინი მხოლოდ ხელს უშლიან თავისუფლების მოპოვებას. საქართველოს მთელი მოსახლეობა უნდა გაერთიანდეს რადიკალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში. მხოლოდ ამაშია ხსნა. ჩვენ არასოდეს არ ვედავებით დამპყრობელს გალმა. მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რაზეც საერთაშორისო სამართლით სრული უფლება გაგვაჩნია. როდემდე უნდა დავუთმოთ დამპყრობელს ჩვენი სამშობლო და ჩვენი თავი?!

## დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავიდანვე ერთობ პასიურად შეეგება ინტელიგენცია. ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გაცხარებული ლაპარაკობდნენ საქართველოს ავბედით მდგომარეობაზე რუსეთის იმპერიაში, დღეს საოცარ გულგრილობას იჩენენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი, ან ინდიფერენტულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, ანდა, უფრო უარესი, - ეფარებიან ლოიალურ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს /რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი და სხვა/

საქართველოს ახლა, ისე როგორც არასდროს, სჭირდება განათლებული, ნიჭიერი და გაბედული ადამიანები, რათა ისინი წარუძღვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და გადავიგდოთ საბჭოთა ტოტალიტარიზმის უღელი. საქართველო დღეს პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. ქვეყანა დაპყრობილია ყველაზე ვერაგი მტრის მიერ. არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში სავსებით შესაძლებელია საქართველოს განთავისუფლება სამართლებრივ-პოლიტიკური მშვიდობიანი ბრძოლის გზით. უკვე დიდი ხანია დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და შეიქმნა არაერთი რადიკალური ორგანიზაცია, რომელიც ამ გზას დაადგა.

საქართველოში მოსახლეობა ყოველთვის იყოფოდა აქტიურ და პასიურ ნაწილად. მაშინაც კი, როცა ქვეყანას თავს ესხმოდა დამპყრობელი, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებდა ხმალს ხელში და ერის ბედ-იღბალს ქართველთა უმცირესობა იცავდა. მაგალითად, კრწანისის ომის დროს თითქმის მილიონიან ქართლ-კახეთში მხოლოდ 5 ათასი თავდადებული ქართველი მოიძებნა. დანარჩენი მოსახლეობა კი მეტ-ნაკლებად პასიური იყო, რაც საქართველოს აოხრებად და ვაი-გოდებად დაუჯდა.

ამჟამად დაუშვებელია მსგავსი ნიჰილიზმი ერის ბედისადმი. თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს სხვადასხვა ერები განვითარების უმაღლეს სტადიაში შედიან. სრულმა თავისუფლებამ და დემოკრატიამ მათ ნამდვილი ამქვეყნიური სამოთხე მოუტანა. თვით აზიის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების კეთილდღეობაც დიდად საშუარია დღევანდელი საქართველოსათვის, რომელიც ტოტალიტარული სოციალიზმის პირობებში კრემლის კოლონიალურ ჭაობში იხრჩობა.

ჩვენმა თაობამ იმის ნაცვლად, რომ თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეს და კეთილდღეობას

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია" (გაგრძელება)

ეზიაროს, თავისი ბედით დათრგუნულმა მრავალი გასაჭირი უნდა გამოიაროს, რათა თავისუფლება მოიპოვოს. ჩვენმა ბავშვებმა უკვე ნათლად იციან, რომ ისინი დაპყრობილი და დაბეჩავებული ერის შვილები არიან. ამ ფაქტს მათ უკვე ველარ დავუმალავთ და სილაღეს ველარ მივანიჭებთ ბია ლენინზე და ბია სტალინზე ომახიანი ლექსების სწავლებით. ერმა უნდა დაიქუხოს და გადაიგდოს მონობის სამარცხვინო უღელი. ეს პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ჩვენ დღეს საშუალება გვაქვს ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ თავისუფლება. საქართველოში დღეს მოიძებნება ასობით ათასი თავდადებული ადამიანი, რომლებიც მზად არიან ასეთი ბრძოლისათვის, მაგრამ ქართული ინტელიგენცია დღეს მაინც პასიურია, ეროვნულ მოძრაობას კი აუცილებლად სჭირდება კომპეტენტური, განათლებული და თავდადებული ადამიანები. ამის გარეშე საქართველოს ეროვნული მოძრაობა შეიძლება ოხლოკრატიაში გადაიზარდოს, რომელსაც კრემლი მერე თავის ნებას დაუმორჩილებს. ეს ტენდენცია უკვე შეიმჩნევა ეროვნულ მოძრაობაში.

მას შემდეგ, რაც დაინგრა ბერლინის კედელი, რაც თავისუფლების ქარტეხილი დატრიალდა აღმოსავლეთ ევროპაში; მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანმა იტალიის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო კომუნიზმის იდეა და პარტიამ სახელი შეიცვალა; მას შემდეგ რაც მთელ იმპერიას მოედო გაფიცვების ტალღა და მაღაროელებმა პოლიტიკური მოთხოვნებიც დააყენეს; მას შემდეგ, რაც საქართველოში აგორდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და გავიარეთ 9 აპრილი, ყოვლად გაუმართლებელია ქართული ინტელიგენციის პოლიტიკური პასიურობა; სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიაში დარჩენა და პოლიტიკური ნიჰილიზმი. საქართველოში დადგა ის დრო, როცა სამშობლოს "მხატვრებზე" მეტად მოქალაქეები სჭირდება, რომლებმაც ჯარისკაცის შეუდრეკელობით უნდა დაიცვან სამშობლო.

საქართველოს ინტელიგენცია პირდაპირ უნდა ჩადგეს ერის სამსახურში. მან უნდა დატოვოს კომუნისტური პარტიის რიგები, აუცილებლად გვერდი უნდა აუაროს შედარებით ლოიალურ "პატრიოტულ" ორგანიზაციებს, რომლებიც ბალით თუ უნებურად კომუნისტური პარტიის ბუფერებად იქცნენ ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგოდ და უნდა მიაშუროს რადიკალური ოპოზიციის რიგებს.

საქართველოს დემოკრატიული პარტია საქვეყნოდ აცხადებს, რომ მისი კარები ღიაა ნებისმიერი თავდადებული მამულიშვილისათვის. ეს არის ჭეშმარიტად დემოკრატიული და მიუკერძო ებელი პარტია, სადაც ნებისმიერი საქმიანი და თავდადებული პატრიოტი თავს საკუთარ "სახლში" იგრძნობს. აქ არ არსებობს ვინმეს პრიორიტეტი. ჩვენ ვიბრძვით საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და მოვუწოდებთ საქართველოს ინტელიგენციას თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს საქართველოს დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც სულ ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ პარტიად უნდა იქცეს.

საქართველოს პოლიტიკური პარტიები რეალურად თავისი ზურგით ზიდავენ უდიდეს ეროვნულ ტვირთს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან ბლოკირებულ თეორიულ მოდელებად, რადგან მათი რიცხობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა ერთობ მოკრძალებულია.

# უფსკრულისკენ დაცურებული დიდი იმპერია

ა. წ. 19 დეკემბერს ლიტვის კომპარტიის ყრილობაზე განხილული იქნება ლიტვის კომპარტიის საკავშირო კომპარტიისაგან გამოყოფის საკითხი. აი, როგორ აფასებს ამ ფაქტსა და საკავშირო კომპარტიის მასთან დამოკიდებულების საკითხს ვადიმ ბელოცერკოვსკი:

ეს მოვლენა უსუსურ შთაბეჭდილებას სტოვებს, უსუსურს იმის ფონზე, რაც მოსდის მსოფლიოში კომუნიზმს დღეს, მე კი ვიტყოდი, - ტოტალიტარულ სოციალიზმს..

ბერლინის კედლის ნგრევის ფონზე, უნგრეთისა და პოლონეთის მოვლენების ფონზე, იმის ფონზე, რომ თვით იტალიის კომპარტიასაც კი, - ყველაზე ძლიერ კომუნისტების ერთადერთ მასიურ პარტიას დასავლეთში, - სურს გაცვალოს თავისი პროგრამა და თვით სახელიც კი სოციალ-დემოკრატიულზე. მის ახლად დასახულ პროექტში უკვე აღარ მოიხსენიება არც კომუნიზმი და აღარც სოციალიზმი.

ამ ფონზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს პოლიტიკა, - აიძულოს ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობა, უარი თქვას თავის უკვე გამოცხადებულ გეგმაზე, გამოეყოს სკკპ-ს, - არის არა მარტო უსუსური, არამედ საგანგაშოც. სკკპ-ს ხელმძღვანელობა თუმცა უძლურია მოვლენების მსვლელობა შესცვალოს, მაგრამ სერიოზული ძალა კი შესწევს იმისათვის რათა ეს მოვლენები დამხამოს.

ყოველკვირეული "არგუმენტი ი ფაქტის" 42-ე ნომერში მოთავსებული იყო ი. ლიგაჩოვის ინტერვიუ. სხვა კითხვებს შორის მას დაუსვეს ასეთი კითხვაც: აი, თქვენიცავთ პარტიას, მაგრამ ზოგიერთი მკითხველი წერს, რომ მისმა ხელმძღვანელმა როლმა არაფერი არ მისცა ხალხს. არ არის სამყოფად ელემენტარული რამ, - საპონი, საჭმელი, ბინები და ა.შ. [illegible] ქვეყანაში ცუდად დგას ჯანმრთელობის დაცვის საქმე. პარტიას ათწლეულების მანძილზე ჰქონდა თავისი ლოზუნგების საქმით დამტკიცების საშუალება, მაგრამ ეს არ მოხდარა. ამაზე ლიგაჩოვმა შემდეგნაირად უპასუხა: მე შეუპოვრად არ ვეთანხმები, - ჩვენ შევქმენით სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგენიც კი დიდ სახელმწიფოს უწოდებენ, ჩვენ გვაქვს უზარმაზარი საერთაშორისო წონა.

როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშეა უზუსტესი ფორმულირება პარტიის კონსერვატულ-რეაქციული კრედოსი, მათი ფსიქოლოგიის მოქმედების გასაღები, - სახელმწიფოში უკვე აღარაა საპონი, მაგრამ იგი, სამაგიეროდ, დიდია.

ი. ლიგაჩოვის ამხანაგებიც ბრწყინვალედ ხედავენ, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანეს მათ ქვეყანა. ხედავენ იმასაც, რომ ინგრევა ე. წ. კომუნისტური იდეოლოგიის კერპი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ ეს არც ისე ახვევთ თავზრუს, როგორც ამას სხვები ფიქრობენ. მათ თვითონაც აღარ სჯერათ ამ იდეოლოგიისა. ერთადერთი მათ იდეოლოგიაში რჩება აი ეს, - ჩვენ შევქმენით დიდი სახელმწიფო! აქ ისინი ხედავენ თავიანთი არსებობისა და ბოლვაწეობის ერთადერთ გამართლებას, და დღეს მათი იდეოლოგები არა მარქსი და ლენინი, არამედ, ვთქვათ, ბონდარევი და პროხანოვია.

ლიგაჩოვები მთელს თავიანთ ძალებსა და ყურადღებას აკონცენტრირებენ იმაზე, რომ შეინარჩუნონ ერთიანი და განუყოფელი რუსული საბჭოთა იმპერია.

ოღონდ არ გაუშვან ვინმე თავისუფლად და ბევრი მათგანი შესაძლოა თანახმაცაა კაპიტალიზმის დაშვებაზეც კი. თუ აღარ იქნება დიდი იმპერია და ყველა დაინახავს, რომ ის იყო ბოროტება, თუ უიმპერიოდ ყველაფერი გაიოლდება და გამხიარულდება რუსი ხალხის ჩათვლით, მაშინ რაღანი იქნებიან ისინი, - პარტიული ბობოლები, - საკუთარ თვალში?!

პასუხი, მგონია, ყველასათვის გასაგებია, მათ შორის მათთვისაც კი. და აი ეს არის საანგაშო, - პარტიული კონსერვატორების შიში იმპერიის შესაძლო დაცემის გამო; შიში იმის გამო, რომ იმპერია და დემოკრატია შეუთავსებელი ცნებებია და დემოკრატია და მართლწესრიგი ნებისმიერ ხალხებსა და რესპუბლიკებს აძლევს საშუალებას დასვას საკითხი სსრ კავშირიდან გამოყოფის შესახებ.

ხომ არ შეიძლება დანერგო დემოკრატია ცხოვრების ერთ სფეროში და არ დაუშვა მეორეში, შემოვიყვანოთ დემოკრატია რსფსრ-ში და არა ბალტიისპირეთში?!

დემოკრატიის გარეშე კი ვერ ჩატარდება რეფორმები ეკონომიკაში.

ვერა, ვერ შეაჩერებ დიდი იმპერიის დაცურებას უფსკრულისაკენ!

# პოლიტპატიმართა დღე მოსკოვში

30 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის პოლიტპატიმართა დღეს, 19 საათზე პარტია "დემოკრატიული კავშირის" მიერ პუშკინის მოედანზე დანიშნული იყო საპროტესტო მიტინგი.

18 საათზე "დემოკრატიული კავშირისა" და მოსკოვის კიდევ 9 არაფორმალური ორგანიზაციის წევრები, 3000 კაცის ოდენობით მივიდნენ სუკ-ის შენობასთან და მის გარშემო გააკეთეს ჯაჭვი. მათ სანთლებით ხელში პროტესტი განუცხადეს კრემლის ჯალათებს და პატივი მიაგეს იმ ხალხის ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ მათ დილეგებში. ჯაჭვი ალყაშემორტყმული იყო მილიციის სპეციალური დანიშნულების ნაწილებით, რათა არ მიეცათ ხალხის ფართო მასებისთვის ჯაჭვში ჩადგომის საშუალება.

18-30 საათზე აქციის მონაწილენი პუშკინის ქუჩით დაიძრნენ პუშკინის მოედნისაკენ. მათ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე თავს დაესხნენ მილიციის სპეციალური დანიშნულების ნაწილები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებითა და ფარებით. "წესრიგის დამცველებმა" უმოწყალოდ დაუწყეს ცემა მსვლელობის მონაწილეებს, განსაკუთრებული სისასტიკით ურტყამდნენ ქალებს. მილიციელებს ეტყობოდათ, რომ ისინი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად მსვლელობა მაინც გრძელდებოდა და როდესაც მიუახლოვდნენ პროკურატურას, მათ გზა გადაუკეტეს უკვე ავტომატებით შეიარაღებულმა სპეც. დანიშნულების ნაწილებმა, მაშინ მსვლელობის მონაწილე 7000 კაცი იქვე ასფალტზე დაჯდა. სპეც. ნაწილები არ მოერიდნენ არც მჯდომარე ხალხს, რომელთა შორის ბევრი ქალი იყო და დაიწყეს მათი ხელკეტებით ცემა. აქციის დარბევის დროს ისმოდა მონაწილეთა შეძახილები: ძირს "სუკ"-ი, თავისუფლება პოლიტპატიმრებს. "დემოკრატიული კავშირის" ცნობით დაპატიმრებული იქნა 76 კაცი, მათ შორის დემოკრატთა კავშირის პარტიის 21 წევრი.

დაპატიმრებულთა შორის [illegible] სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა "დემოკრატიული კავშირის" წევრი ვიქტორ კუზინი, იგი ძლიერ ნაცემი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 15 დღით პატიმრობა. პატიმრობისას მან შიმშილობა გამოაცხადა. შიმშილობა გამოაცხადა აგრეთვე ესტონელმა მაკმა, რომელსაც ესტონეთის სამფეროვანი დროშა წაართვეს, მას სოლიდარობა გამოუცხადა ყველა დაპატიმრებულმა.

15 დღით დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ანდრეი გრიაზნოვი, ვალერია ნოვოდვორსკაია და სხვები. აქციის ყველა მონაწილე დაჯარიმებული იქნა. აქციის რბევის დროს სპეციალური ჯარების მიერ ტრამვირებული იქნა ლატიგინი /ხერხემლის არეში/. იარაღის ტარების მოტივით რაფაელიანის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. "დემოკრატიული კავშირის" ცნობით, მოსკოველმა დეპუტატებმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმის გამო, რომ აქციის მონაწილეთა მიმართ უხეშად იქნა დარღვეული ადამიანთა უფლებები.



მსოფლიო საზოგადოების ნდობის მოპოვების მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ პატიმრობიდან გაათავისუფლა ცნობილი დისიდენტები, მაგრამ ამჟამად ციხეებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იმყოფება 100-ზე მეტი პოლიტპატიმარი. 1988 წლიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და ჯალათურად ტანჯავენ უკრაინელ სამართალდამცავს ანატოლი ილჩენკოს; ცრუ ბრალდებების საფუძველზე დღემდე ციხეშია მთიანი ყარაბაღის სახალხო დეპუტატი არკადი მანუჩაროვი, 89 წლის 18 ოქტომბერს ხელმეორედ იქნა დაპატიმრებული რვათვიანი პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული სერგეი კუზნეცოვი. არასანქცირებული მიტინგისათვის სისხლის სამართლის საქმეა აღძრული "დემოკრატიული კავშირის" ოდესელი და სამარელი წევრების ვ. პავლოვსკისა და ი. ზეხჩანოვის მიმართ. ამავე ბრალდებითაა აღძრული საქმე ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ხ. ბისულთანოვის მიმართ. მათვე აღნიშნეს, რომ მილიციელები მოსახლეობის თვალწინ ვარჯიშობენ ხელკეტებით, ჩექმებითა და სასანგრე ნიჩბებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში

დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი:

1. საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის კანონპროექტის და მტკიცება;

2. საქართველოს ეროვნული და მოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის ჯგუფის მიერ დაგეგმილი მსვლელობისა და მიტინგის შესახებ ცხინვალში;

3. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ინიციატივა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმ.გიორგის ეკლესიის აღდგენის შესახებ.

ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სხდომას გაურკვეველი მიზეზების გამო არ ესწრებოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმ. ილია მართლის საზოგადოებისა და დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის საქართველოში პირველი საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების მნიშვნელობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ყოველგვარი, თუნდაც უნებლიე, ხელის შეშლა, ან შეფერხება სარეფერენდუმო კამპანიისა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს განპირობებული, აბსოლიტურად გაუმართლებელი და მიუღებელია.

საქართველოს დემოკრატიული პარტია შეშფოთებას გამოთქვამს რეფერენდუმის ჩატარებისთვის არადამაკმაყოფილებელი მზადების გამო.

მეორე საკითხის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენელმა ზ. გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ სიტუაცია სამაჩაბლოს გარშემო შედარებით განიმუხტა. "ადამონ ნიხასმა" უარყო თავისი ზოგიერთი გაუმართლებელი მოთხოვნა. ამის საპასუხოდ, ცხინვალის აქციის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ მოხსნან მოთხოვნა ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო " ადამონ ნიხასის" აფსურდული "საქართველოდან გამოყოფისა და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების" კონცეფციით. ზ. გამსახურდიამ მიმართა ეხმკ-ში შემავალ ორგანიზაციებს გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ამ აქციასთან დაკავშირებით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ი. ქადაგიშვილმა აღნიშნა ის დაღებითი ძვრები, რაც მოხდა სამაჩაბლოს ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის და განაცხადა, რომ მთავარ კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ, ალბათ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეუერთდებოდა ცხინვალის აქციას. აქციას შეუერთდა აგრეთვე ეროვნული სამართლიანობის პარტია და ღირსების კავშირი.

კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინიც უერთდებიან აქციას, ოღონდ პასუხს არ აგებენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების ზოგიერთი წევრის ქმედებათა გამო ცხინვალში.

სხდომამ აღნიშნა, რომ ყოველი ორგანიზაცია პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი წევრების ქმედებაზე.

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელმა ი. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ის მორალურად მხარს უჭერს ამ აქციას, მაგრამ მასში მონაწილეობის მიღება ფიზიკურად არ შეუძლია.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ვ. ტალახაძემ განაცხადა, რომ ის მიესალმება სიტუაციის განმუხტვას სამაჩაბლოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული პარტია არ თვლის გამართლებულად სამაჩაბლოში გამგზავრებასა და იქ აქციის ჩატარებას. /პარტიის პოზიციას ამ საკითხის გარშემო კარგად იცნობენ პოლიტიკური წრეები და გაზეთ "თავისუფლების" მკითხველები/ ამიტომ საქართველოს დემოკრატიული პარტია მოითხოვს, რომ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდების მესამე მუხლის თანახმად ეს აქცია არ ჩატარდეს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით.

დღის წესრიგის მესამე საკითხის გარშემო ინფორმაცია გააკეთა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრმა ი. კაკაბაძემ. მან აღნიშნა, რომ უკვე მიღწეულია შეთანხმება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან და უნივერსიტეტის რექტორატთან უნივერსიტეტში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენის შესახებ. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით წმ. გიორგის ხატი უნივერსიტეტში დასვენდება.

ხატის გადმოსვენების საზეიმო პროცესია მოეწყობა გიორგობის დღეს, 23 ნოემბერს, შუადღით. შემდეგ, უნივერსიტეტთან გაიმართება მცირე მიტინგი. ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ამ აქციას. საქართველოს დემოკრატიული პარტია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მასში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ.

ამით ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა 22 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა.

### ეკლესია უნივერსიტეტში

23 ნოემბერს წმინდა გიორგის დღეს მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა. ქაშვეთის ტაძრიდან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით გადმოასვენეს წმინდა გიორგის ხატი. აღდგა წმინდა გიორგის სამლოცველო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში. ხატი სამლოცველოში დაასვენეს. ამ აქციის ინიციატორი იყო ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაცია. აქციას მხარი დაუჭირა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ, კონსტიტუციურ-მონარქისტულმა პარტიამ. ამ მოვლენის აღსანიშნავად უნივერსიტეტის წინ გაიმართა მიტინგი. საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა.

# შეხვედრა უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიმართა სტუდენტთა და მასწავლებლების შეხვედრა საქართველოს დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან. კრებას ესწრებოდა 250-მდე კაცი.

კრებაზე განხილულ იქნა საბჭოთა არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადებისა და ეროვნული სათათბიროს არჩევნების საკითხები. დემოკრატიული პარტიიდან სიტყვით გამოვიდნენ ვაჟა მთავრიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი და გიორგი ზუმბაძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან სიტყვები წარმოთქვეს გიორგი ჭანტურიამ, ირაკლი ქადაგიშვილმა და ირინა სარიშვილმა.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა დამსწრე აუდიტორიას გააცნეს მათი დამოკიდებულება საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პრობლემებისადმი. ორივე პარტიამ აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთადერთ რეალურ გზა მიიჩნევენ საბჭოური არჩევნების ბოიკოტს და საქართველოს ეროვნული სათათბიროს არჩევნებს. დაუშვებელია საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩარევა ეთნოკონფლიქტებში, რომელიც კრემლის ინსპირირებით სწორედ იმიტომ ეწყობა, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობა თავისუფლებისათვის ბრძოლიდან ეროვნულ უმცირესობებთან ბრძოლაში გადაერთოს.

# პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია

1989 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგში დაარსდა "უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა დემოკრატიული ასოციაცია".

ამ ასოციაციის ძირითადი მიზანია გააერთიანოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა პოლიტიკურად აქტიური ქართველი. ასოციაციის დევიზია - "ქართველები საქართველოსათვის", რაც თავის თავში გულისხმობს ქართველების სამშობლოში დაბრუნებას. ასოციაციის პროგრამის მთავარი ნაწილია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ყველა დემოკრატიულ ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რამეთუ მხოლოდ კონსოლიდაციის საშუალებით შეიძლება ყველა ქართველის სანუკვარი მიზნის - სრული დამოუკიდებლობის მიღწევა.

ასოციაციას კონგრესამდე ხელმძღვანელობს დროებითი საბჭო ჟ. ქალდანის, ზ. ქარდავასა და გ. გაბრიჩიძის ხელმძღვანელობით.

# ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონგრესი

ამა წლის 25 ნოემბერს მუშაობას შეუდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მე-2 კონგრესი. კონგრესს პარტიის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები როგორც საქართველოს, ასევე იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების პოლიტიკური ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. პარტიის კონგრესს მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს საზღვარგარეთის დემოკრატიულმა პოლიტიკურმა თუ სამართალდამცავმა ორგანიზაციებმა.

კონგრესი ლოცვით დაიწყო. შესრულებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი. კონგრესს მიესალმნენ მ.მჭედლური, ლ.ხაინდრავა, ლიტველი ლეონარდოს ვილკასი, ლ.ტუხაშვილი, ესტონელი სანდერ სოსია, ი.კაკაბაძე, დ.ტურაშვილი, ა.ბაქრაძე და სხვები.

პარტიის თავმჯდომარემ, გიორგი ჭანტურიამ, კონგრესის წინაშე წარმოადგინა საანგარიშო მოხსენება წინა კონგრესიდან განვლილი პერიოდის შესახებ და შეაფასა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ განვლილი გზა და არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

პარტიის ორგანიზაციულ საკითხებზე ისაუბრა პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა მამუკა გიორგაძემ.

რეგიონალური ბიუროების მუშაობის შესახებ კონგრესს მოახსენეს :

ზენაიშვილმა - გურია, აჭარა;
კვარაცხელიამ - სამეგრელო;
ბუაძემ - იმერეთი;
ბეციაშვილმა - კახეთი;
მელუავამ - სამცხე-ჯავახეთი;
ჯიქიამ და ჯოლოხავამ - აფხაზეთი.

პარტიის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ მდგომარეობა აღწერა პარტიის მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა; პრესის შესახებ - პარტიის პრესმდივანმა ირინა სარიშვილმა.

კონგრესის პირველი დღის სხდომის დასასრულს ჩატარებული იქნა არჩევნები პარტიის თავმჯდომარისა და მთავარი კომიტეტის შემადგენლობის განსასაზღვრავად. არჩევნების შედეგად მთავარი კომიტეტის შემადგენლობა არ შეცვლილა.

ხვალ, 26 ნოემბერს, მუშაობას დაამთავრებს პარტიის მე-2 კონგრესი. ხვალვე განიხილება პარტიის სადღეისო ამოცანები, პროგრამული და საწესდებო ცვლილებანი და მიღებული იქნება რეზოლუციები.

კონგრესის დასასრულს გაიმართება პრესკონფერენცია.

# ჩახმახი შეყენებულია

საქართველოში არ ცხრება ეთნოკრიზისი. როგორც წესი, კრემლი ეთნოკონფლიქტებს აღვივებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ბლოკირების მიზნით. ამ ბოლო დროს საქართველოში შეიქმნა ისეთი ილუზია, თითქოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობაში იმყოფება და კრემლმა მაშინვე ჩართო ეთნოკონფლიქტების კარგად შემუშავებული მექანიზმი. დაიწყო ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში / მარნეული, ბოლნისი, დმანისი/ და ნაციონალური უმცირესობების სხვა კომპაქტურ დასახლებებში. როგორც კი საქართველო დაადგება თავისუფლების რეალურ გზას, ამ რეგიონებში კრემლი მოაწყობს ერთაშორის შექმნილ სისხლისმღვრელ კონფლიქტებს. ამჟამად მიმდინარეობს ასეთი აფეთქებადი კერების მომზადება და ნაციონალური უმცირესობების პროვოცირება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად საქართველოში შექმნილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი აღმავლობის ილუზია, ხალხი ნამდვილად ამოძრავდა, მაგრამ ლოზუნგების მიუხედავად ყოველივე ეს ჯერ ვერ წარიმართა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ. საქართველოს ოპოზიციური პარტიები ბლოკირებულია და მათი რიცხობრივი პირადი შემადგენლობა არ ცილდება რამდენიმე ასეულს. ამდენად ეს პარტიები დღემდე რჩებიან თეორიულ მოდელებად, რომელთა ზურგზე გადადის დიდი პოლიტიკური დატვირთვა და რეალურ პოლიტიკურ კლიმატს ჯერ კიდევ ხალხის ემოციებზე მოთამაშე ნაკლებად პოლიტიკური ძალები ქმნიან. საქართველოს მოსახლეობაში ამის გამო იქმნება ეთნოკრიზისის წინა მასობრივი ფსიქოზი. მთელი რიგი პოლიტიკური და ნახევრადპოლიტიკური ორგანიზაციები იძულებულნი ხდებიან აჰყვნენ იმ პროცესებს, რომლებიც მათ პოლიტიკურად სავსებით გაუმართლებლად და საქართველოს განთავისუფლებისათვის საზიანოდ მიაჩნიათ. სწორედ ამან განაპირობა 23 ნოემბრის მსვლელობა ცხინვალში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული პარტიის მიერ მოწონებული არ იქნა ცხინვალში მიტინგის ჩატარება 23 ნოემბერს, რის გამოც ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი აღარ იყო უფლებამოსილი თავისთავზე აეღო ეს აქცია, ცხინვალში მაინც მოეწყო მრავალათასიანი მსვლელობა და ისეთი ილუზიაც შექმნეს, თითქოს ეს ხსნის კომიტეტმა გააკეთა.

ამ აქციის შესახებ საკმაოდ ფართო ინფორმაცია აქვს საზოგადოებრიობას და ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობა შეიძლება სომხურ-აზერბაიჯანული გზისაკენ გადაიხაროს, რაც ფაქტიურად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასასრულად საქართველოში.

ამჟერად, როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლებას სერიოზული საფრთხე არ ელის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

„ჩახმახი შეყენებულია"

/გაგრძელება/

ლოს მთელ რიგ პოლიტიკურ ორგანიზაციებს გააჩნიათ სერიოზული პოლიტიკური კონცეფცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გასაუქმებლად. ამ გზების რეალიზება ჯერჯერობით შეუძლებელად გამოიყურება ადგილობრივი აპოლიტიკური ძალების დაწოლით. კრემლი აფხაზების, ოსების და აზერბაიჯანლების დაუხმარებლადაც ადვილად ახერხებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბლოკირებას ქართველი ხალხის ხელით. ამიტომ მას აღარ ჰქონდა აუცილებლობა ჩაერთო ეთნოკონფლიქტების მექანიზმი. ნიადაგი კი უკვე შემზადდა. ჩახმახი შეყენებულია. როგორც ოსები, ასევე ქართველებიც მზად არიან და თუ დროზე არ მოვეგეთ გონს კრემლი ადვილად შეძლებს ორივე მხარის პროვოცირებას და როგორც კი გაუჭირდება, გააჩაღებს არნახულ ერთაშორის ომს, რის შემდეგაც ჯერ ცხინვალში, ან სოხუმში დაწესდება ხანგრძლივი კომენდანტის საათი და შემდეგ /ალბათ მეორე დღესვე/ თბილისშიც ვიხილავთ რუსის ტანკებს, რომლებიც ამჯერად, ისევე როგორც ბაქოსა და ერევანში, რამდენიმე თვე იპარპაშებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თუ 9 აპრილის შემდეგ კრემლი საერთაშორისო დაწოლამ აიძულა ერთ კვირაში მოეხსნა კომენდანტის საათი, ამჯერად საერთაშორისო სამართალი მხარს აღარ დაგვიჭერს და რუსის ჯარისკაცს მოხერხებულად ექნება მორგებული გამშველებლის მანტია.

## პერესტროიკის მუხრუჭები არ იჭერს




რუსეთის ტოტალიტარული სოციალიზმის იმპერია თვით ტოტალიტარიზმმა შეიყვანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში. მუშტის ბრახუნმა და სიმკაცრემ მართალია შექმნა ძლიერი იმპერია, მაგრამ ხალხს სავსებით დაუკარგა შემოქმედების ინიციატივა. კრემლი მიხვდა, რომ დემოკრატიზაციის გარეშე ვერ მოაგვარებდა ეკონომიკას. ამიტომაც დაიწყო "პერესტროიკა", მაგრამ იმპერიას მოედო დაპყრობილ ერთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მუშათა გაფიცვები, რომლებიც ამჯერად უკვე პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ.

შეზღუდული დემოკრატიის, ანუ "პერესტროიკის" მუხრუჭები არ იჭერენ.

## ჩეხოსლოვაკიაში

პრაღაში ვაცლავის მოედანზე, დემოკრატიზაციის მოთხოვნით, ზედიზედ ექვსი დღის განმავლობაში იმართებოდა მრავალათასიანი დემონსტრაციები.

ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, მოედანზე სპეციალურად დაყენებული ხმამაღლამოლაპარაკეების საშუალებით გადაიცა კომუნისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელის დუბჩეკის გამოსვლა. მან მხარი დაუჭირა კომპარტიის ხელმძღვანელობის გადადგომას. დასავლეთის კორესპოდენტთა ცნობით ხალხი ოვაციებით შეხვდა დუბჩეკის სიტყვებს. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ცნობილი ჩეხი სამართალდამცველი ვაცლავ ჰაველი. დემონსტრანტები სალამოს მშვიდად, პოლიციის ჩაურევლად, დაიშალნენ. ჰაველმა მოუწოდა მათ, რომ შემდეგ ოთხშაბათს კვლავ შეკრებილიყვნენ.

ხალხმრავალი დემონსტრაციები ჩატარდა ბრატისლავაშიც.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, პარასკევს, 24 ნოემბერს, გაიმართება პლენუმი.

ოპოზიციური სამოქალაქო ფორუმის ცნობით, პრაღის ათასობით მუშა დაიწყებს გაფიცვას 27 ნოემბრიდან.

## რევოლუცია ზემოდან

ხშირად გვეკითხებიან, თუ რატომ ვაკრიტიკებთ გორბაჩოვს. ყოველივე ის, რაც მან გააკეთა ამ ბოლო დროს, "უძრაობის" პერიოდში კრემლის მხრიდან ჩაითვლებოდა დისიდენტობად და პოლიტიკურ დანაშაულად.

ეს მართლაც ასეა, ბრეჟნევი ან ანდროპოვი გორბაჩოვს ამგვარი ქმედებისათვის ალბათ პოლიტპატიმრებს მიუჯენდა გვერდით გულაგებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ პერესტროიკას თანახმად შეიძლება ეწოდოს რევოლუცია ზემოდან. ჩვენ ვიბრძვით ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის, გორბაჩოვი კი იმისათვის, რომ შეინარჩუნოს იმპერია, დათრგუნოს ერები და პიროვნებები. ამის ერთ-ერთი საიმედო საშუალებაა რევოლუცია ზემოდან.

თუ ჩვენ მოვახდენთ რევოლიუციას, მაშინ ჩვენ მივიღებთ იმდენ თავისუფლებას, რამდენიც გვჭირდება, მაგრამ თუ გორბაჩოვი მოახდენს რევოლიუციას ზემოდან, ის დათმობს მხოლოდ იმდენს, რამდენიც მას სჭირდება იმპერიის შენარჩუნებისათვის. იმპერია და თავისუფლება შეუთავსებელი ცნებებია. გვინდა ჩვენ "რევოლიუცია ზემოდან"?!



## ცნობები პოლონეთიდან

ამჟამად პოლონეთში მყოფმა ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენელმა კენტინბერიის არქიეპისკოპოსმა რობერტ რენსმა განაცხადა, რომ როგორც ჩანს ევროპაში კომუნიზმი დამარცხდა ადამიანთა გულებისა და აზროვნებისათვის გამართულ ბრძოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ ნისლის ქვეშ დგას საკითხი, კაპიტალიზმს შეეძლება თუ არა დაიცვას მშვიდობა და დაეხმაროს ღარიბებსო.

პოლონეთის სეიმმა გააუქმა 1967 წელს მიღებული კანონი სახალხო მილიციის შესახებ. გააუქმა ეს მილიცია, რომელიც შედიოდა პოლონეთის მუშათა გაერთიანების პარტიაში და ასრულებდა მარშიელის როლს.

პოლონეთის სეიმმა ასევე გააუქმა რელიგიის საქმეთა რწმუნებულები.

## უნგრეთის შესახებ

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო დე ი-მ ბუდაპეშტში განაცხადა, რომ უნგრეთს შეუძლია ისეთივე ეკონომიური წარმატებების მიღწევა, რასაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწია სამხრეთ კორეამ. რო დე ის სიტყვით მათი ეკონომიკური წარმატებები მიღწეულია საერთო ბაზრის, ბრძნული ეკონომიკური პოლიტიკისა და გამრჯე შრომის მეშვეობით.

## შვეიცარიის პროტესტი

შვეიცარიას, რომელსაც მყარი ნეიტრალიტეტი უჭირავს, პროტესტი განაცხადა, პრაღაში გასულ პარასკევს პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის სასტიკად დარბევასთან დაკავშირებით. ეს საპროტესტო ნოტა გადაეცა შვეიცარიაში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს წარმომადგენლობას. იმავე ცნობებით, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ უარყო შვეიცარიის საპროტესტო ნოტა, რადგან იგი ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობად მიიჩნია.

## სენატის რეზოლუცია

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ეროვნულმა საბჭომ შეერთებული შტატების სენატში საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას გაუგზავნა მადლობის დეპეშა სენატის მიერ მიღებული რეზოლუციის გამო, რომელიც მთიანი ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ მოუწოდებდა. შესაბამისი ცნობა გადაცემული იქნა გასულ პარასკევს ერევნის რადიოს მიერ.

შეერთებული შტატების ჩს როზოლუცია დაგმობილ იქნა სსრ კავშირის მიერ, როგორც სსრკ-ის შინაურ საქმეებში ჩარევის ფაქტი. "ჰორჰიდინ ჰაესტანის" ცნობით სსრ კავშირის ეს განცხადება დაგმობილ იქნა სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის მიერ. იმავე ცნობით, მოსკოვის ეს უკანასკნელი განცხადება ნიშნავს სომხეთის სუვერენიტეტის აშკარა დარღვევას, რაც გაკეთებულ იქნა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მკრტიჩიანთან შეთანხმების გარეშე.

# თავისუფლება პოლიტპატიმარს!

21 ნოემბერს სვერდლოვსკში განახლდა თავისუფალი ჟურნალისტის სერგეი კუზნეცოვის სასამართლო. კუზნეცოვი პროცესზე მოიყვანეს 34 დღიანი შიმშილობის შემდეგ, მაგრად ნაცემი. პროცესის მსვლელობისას პატიმარი ცუდად გახდა. გამოიძახეს სამედიცინო სასწრაფო დახმარება. ექიმმა განაცხადა, რომ პატიმარს ძლიერი კარდიონერვოზი აქვს და განიცდის გულის კუნთის დისტროფიას, მაგრამ ციხის ექიმმა შესაძლებლად ჩასთვალა პროცესის გაგრძელება.

კუზნეცოვის დაცვის მიზნით მსოფლიოს საზოგადოებრიობას ღია წერილით მიმართეს სამართალდამცველებმა:

" ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ სსრ კავშირში ადამიანის უფლებების დარღვევის გახშირებაზე. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს პოლიტპატიმარ კუზნეცოვის ტრაგიკული ბედი. მისი სიცოცხლე საფრთხეშია. უვადო შიმშილობისა ძლიერი ტვინის შერყევისა და ხერხემლის ტრამვის გამო, რომლებიც ზედამხედველებმა მიაყენეს.

13 ნოემბერს კუზნეცოვის დასაცავად გორბაჩოვს წერილი გადასცა აკადემიკოსმა სახაროვმა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია რეაგირება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეპრესიების გაგრძელება და კერძოდ თავისუფალ ჟურნალისტთა დევნა საეჭვოს ხდის საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდისტულ განცადებებს."

ხელს აწერენ: ვ. სენდეროვი, თ. გრიგორიანი, ვ. კუზინი, ა. სმირნოვი, კ. პოპოვი, ი. მიცენოვი და სხ.

კუზნეცოვთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა მიმართეს რომის პაპს, რომელთანაც რომსა და ვატიკანში მალე ვიზიტი ექნება გორბაჩოვს.

24 ნოემბერს, მოსკოვში, კუზნეცოვის დასაცავად ბრიფინგი შესდგა უცხოელ კორესპონდენტებთან.

პარტია „დემოკრატიული კავშირი" ამავე მიზეზით, მოსკოვში, 26 ნოემბერს, ლუჟნიკების სტადიონზე და 10 დეკემბერს, პუშკინის სკვერში, მოაწყობს მიტინგებს.

კუზნეცოვი დააპატიმრეს ფალსიფიცირებული ბრალდებით 1988 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 40 წლისთავზე, "პერესტროიკისა" და "საჯაროობის" პერიოდში.

24 ნოემბერს, პროცესზე, პროკურორმა კუზნეცოვისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. განაჩენს გამოიტანენ 27 ნოემბერს.

გაზეთი "თავისუფლება" გამოდის 1988 წლის 10 დეკემბრიდან, არ ექვემდებარება ცენზურას და გამოიცემა თავისუფალი პრესის პრინციპით. "თავისუფლების" რედაქცია ემყარება რა ამ პრინციპს აცხადებს რომ, ყველა ოპონენტს საშუალებას მისცემს საპასუხო წერილი დაბეჭდოს "თავისუფლებაში".

გაზეთ " თავისუფლების " რედაქციის მისამართია თბილისი 380 008 ენგელსის ქ. № 38ა ვაჟა მთავრიშვილი.

გაზეთი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, ალეკო ჩიტაძემ, გიორგი ნიშნიანიძემ, ვახტანგ ტალახაძემ, მაყვალა ჩახვაშვილმა, თენგიზ და თამაზ შარმანაშვილებმა.

---

საქართველოს დემოკრატიულ პარტიას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 36.71.87 39.65.77, 12.60.34.